პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1973 წ.
№ 52 (4822) 15 მარტი, ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკურ სპორტკომიტეტში

თავდაუზოგავად ვიბრძოლოთ საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობისთვის!

ზაფხულის შესახვედრად

ზაფხულის სპორტული სეზონი ახლოვდება. წინ არის დიდი შეჯიბრებები, რომელთა შესახვედრადაც ყოველმხრივ მზად უნდა ვიყოთ. ეს პირველ ყოვლისა ბაზებზე ითქმის, რომელთა მზადყოფნასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

ზაფხულის სეზონისთვის რესპუბლიკის სპორტული ბაზებისა და ნაგებობების დროულად მომზადების მიზნით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა გუშინ მიიღეს ერთობლივი დადგენილება. გადაწყდა: 1 აპრილიდან 1 მაისამდე ჩატარდეს რესპუბლიკის სპორტული ბაზების კეთილმოწყობისა და ზაფხულის სეზონისთვის მზადების ერთთვიური.

ერთთვიურის მთავარი მიზანია:

ბაზების უზრუნველყოფა სპორტული ინვენტარითა და მოწყობილობით, უმარტივესი მოედნების, ტირების, წინაღობათა ზოლების მშენებლობა, მასობრივი სტარტების მოწყობა მშდ კომპლექსის ნორმატივების მოსამზადებლად და ჩასაბარებლად, დასვენების ზონების, ტურისტული და სპორტული ბაზების ეფექტური გამოყენება უქმე და უქმესწინა დღეებში, სპორტული ბაზების გაფორმება ლოზუნგებით, პლაკატებით, ტრანსპარანტებით, ფოტოვიტრინებით, სტენდებით, საპატიო დაფებითა და ა. შ.

დადგენილება საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებს ავალებს უზრუნველყონ ერთთვიურში კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების, „კომკავშირული პროჟექტორის" შტაბებისა და საგუშაგოების, სპორტსმენებისა და მწვრთნელების, ფიზაღზრდის სპეციალისტების, ფართო საზოგადოებრივი აქტივის მონაწილეობა.

ერთთვიურის ჩატარებამ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდობის მასობრივად ჩაბმას მშდ მრავალჭიდის შეჯიბრებებში, საკავშირო ახალგაზრდული თამაშების სტარტებს, სპარტაკიადას ეროვნულ სახეობებში.

სპორტულ ნაგებობათა ექსპლოატაციის განყოფილებას, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს დაევალათ ერთთვიურის მანძილზე ჩაატარონ ყველა სპორტული ბაზისა და ნაგებობის პასპორტიზაცია.

საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტებს ევალებათ ერთთვიურის შედეგები განიხილონ, ხოლო მაისისთვის ინფორმაცია წარუდგინონ საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს.

ენთუზიასტები

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფიზკულტურელებს ხშირად ნახავთ თავიანთი სამმართველოსა და სხვა სპორტულ ბაზებზე, სადაც მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად შეჯიბრებები ეწყობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ამას წინათ კი სამმართველოს პარტორგანიზაციისა და სპორტკლუბის („სინათლე") თაოსნობით ბაკურიანში მოეწყო ოთხდღიანი შეკრება 50 კაცისთვის. სათანადო მომზადების შემდეგ ჩატარდა შეჯიბრებები 5 კილომეტრზე თხილამურებით რბენაში, 3 და 6 კილომეტრზე ტურისტულ მარშ-გარბენში.

საწარმოს პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე თ. გელაშვილი, მმართველის მოადგილე ნ. ტყემალაძე, ტრამვაის პირველი დეპოს მუშა ლ. სამხარაძე, ტრამვაის მეორე დეპოს ზეინკალი ნ. ჯერდოსანიძე, უფროსი ინჟინერი რ. ომაროვი, სამმართველოს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი შ. კოხრეიძე, სარემონტო სახელოსნოების, ელექტრომეურნეობებისა და გარაჟის თანამშრომლები ნ. ლეშკაშელი, მ. გილგენდორფი, ე. შვედოვა, მ. მარსაგიშვილი და ზ. დედაბრიშვილი შეჯიბრებას მომზადებული შეხვდნენ, — კომპლექსის ნორმატივები ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნებზე ჩააბარეს.

ი. იუნაევი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

• • •

სურათებზე: 5 კილომეტრზე თხილამურებით რბენაში (მარცხნივ) და 6 კილომეტრზე ტურისტულ მარშ-გარბენში შეჯიბრების მომენტები.

ავტორის ფოტოები.

ოსტატთა ოჯახში მატებაა

ახლახან გაიმართა თბილისის ძალოსანთა პირადი პირველობა. შეჯიბრებაში თავი ისახელა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა, 21 წლის ქვემძიმეწონოსანმა ათლეტმა ე. დვალმა. მან ორჭიდის ჯამში 295 კგ დააგროვა და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ამ წონით კატეგორიაში იგივე მაჩვენებლით დედაქალაქის ჩემპიონობა მოიპოვა სპორტის ოსტატმა ნ. ნახუცრიშვილმა („სპარტაკი"): იგი დვალზე მსუბუქი აღმოჩნდა.

დანარჩენ წონით კატეგორიებში უძლიერესნი იყვნენ ს. ჯავახოვი, ტ. ქელდიშვილი (ორივე — „განთიადი"), ა. ოსიპოვი („ბურევესტნიკი"), ლ. კამალოვი („ლოკომოტივი"), ვ. რიბიცკი („სპარტაკი"), ი. სირანაშვილი („ლოკომოტივი") და ო. გაბუნია („ბურევესტნიკი").

სურათზე: ე. დვალი შეჯიბრებას დროს.

გ. დოლენჯაშვილის ტექსტი და ფოტო.

მეთორმეტედ!

მოსკოვი, 13 მარტი. ბურთიან ჰოკეიში საკავშირო ჩემპიონატის მორიგ, დღევანდელ ტურში კრასნოიარსკის „ენისეის" დამარცხებით (9:3) მოსკოვის დინამოელებმა მეთორმეტედ მოიხვეჭეს ქვეყნის უძლიერესი გუნდის წოდება. მათ 41 ქულა დააგროვეს 46-დან და დანარჩენ მეტოქეთათვის მიუწვდომელი შეიქნენ.

ასევე ვადამდე მოიპოვეს ვერცხლის მედლები ალმა-ათის დინამოელებმა, რაც ამ ახალგაზრდული კოლექტივის დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

სეზონი-73-ის კონტურები

1973 წლის საფეხბურთო სეზონი უკვე დაიწყო. საბჭოთა გუნდებმა ჩაატარეს ევროპული ტურნირების მატჩები, შედგა სსრ კავშირის თასის თამაშები, 7 აპრილს კი XXXV საკავშირო ჩემპიონატის ალამი აღიმართება.

ისევე როგორც შარშან, ჩემპიონის წოდებისთვის უმაღლეს ლიგაში 16 გუნდი იბრძოლებს. I ლიგაში გაერთიანებულია 20, ხოლო II ლიგაში — 127 კოლექტივი.

წლეულს, როგორც ცნობილია, საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში პირველად აღარ იქნება ფრე. თუ 90 წუთის მანძილზე ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება, მატჩის შედეგს პენალტების სერია გადაწყვეტს. მოწინააღმდეგე მხარეები 5-5 პენალტს დაარტყამენ და, თუ გამარჯვებული მაინც არ გამოვლინდა, 11-მეტრიანები პირველ გამოუყენებელ დარტყმამდე გაგრძელდება.

განსხვავებულია გამარჯვების ფასიც: ძირითად დროში მოპოვებული გამარჯვებისთვის იწერება 2 ქულა, პენალტებით მოგებისთვის — 1 და წაგებისთვის — 0. ეს წესი ეხება როგორც უმაღლესი, ისე I და II ლიგების გუნდების ტურნირებსაც.

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ წლევანდელ სეზონში მკაცრი წესები შემოიღეს გუნდიდან გუნდში მოთამაშეთა გადასვლაზე. წინათ ზოგიერთ ფეხბურთელს არ ესიამოვნა ის მოთხოვნები, რომლებსაც მას კოლექტივში უყენებდნენ და ამიტომ გადადიოდა სხვა, უფრო დაბალი კატეგორიის გუნდში. ახალი წესით, გადასვლები ლიგის ფარგლებში, აგრეთვე, ზედა ლიგიდან ქვევით, აკრძალულია.

ახალ სეზონს მეტი ინტერესით მოველით. შეიძლება, მან დიდი ხნის ნანატრი წარმატება მოგვიტანოს საერთაშორისო ასპარეზზე, ან გამოჩნდნენ ახალი ნიჭიერი ფეხბურთელები, შეიძლება დაემხოს ნ. სიმონიანის ძველისძველი რეკორდი, როცა მან ერთ ჩემპიონატში 34 ბურთი გაიტანა.

განსაკუთრებით გვაწუხებს ფეხბურთელთა დაბალი შედეგიანობა. კიევის „დინამოს" თავდამსხმელმა მ. გონჩარენკომ 35 წლის წინ ერთ ჩემპიონატში 19 ბურთი გაიტანა. მას შემდეგ კიეველებმა ხუთჯერ მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება, ოთხჯერ — თასი, მაგრამ გონჩარენკოს მიღწევა გაიმეორა მხოლოდ ა. ბიშოვეცმა. გაიმეორა, მაგრამ ვერ გააუმჯობესა. „დაბერდა" ცსკა-ს განთქმული თავდამსხმელის ვ. ბობროვის რეკორდიც: ერთ ჩემპიონატში მან 24 ბურთი გაიტანა და ათეული წლების შემდეგ ეს მაჩვენებელი არმიელთათვის მიუღწეველია.

(დასასრული მე-3 გვ.).

პირველნი

თბილისის 36-ე საშუალო სკოლის სპორტული ბაზის გაცნობა გულისტკენის მეტს არაფერს მოგიტანთ. სკოლას, სადაც რამდენიმე ასეული ბავშვი სწავლობს, ნორმალური სპორტდარბაზი არა აქვს (ფიზაღზრდის გაკვეთილები სარდაფში ტარდება). ეზოც კი არ არის, რომ ბავშვებმა სირბილით გული იჯერონ.

მაგრამ ეს შესავალი ნუ შეაშინებს მკითხველებს. მიუხედავად ამ სირთულისა, 36-ე სკოლა ფიზკულტურაში ჩამორჩენილი არ არის. ეს ალბათ იმიტომ, რომ აქ ფიზკულტურის უფროს მასწავლებლად მუშაობს სპორტის დიდი ენთუზიასტი — ძველი სპორტსმენი და ფიზკულტურული მუშაკი ლევან სტვილია. მან უკვე სამოცს გადააბიჯა, მაგრამ დღესაც მხნედ გამოიყურება. ეს ლევანმა ჩააბარა პირველმა მშდ ახალი კომპლექსის V საფეხურის ნორმატივები. სტვილიას კოლექციაში ნახავთ მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანს — № 333-ს, რომელიც მან ჯერ კიდევ 37 წლის უკან მიიღო. ლევანი კარგი ათლეტი, მოთხილამურე, მთამსვლელი, ველოსიპედისტი, ნიჩბოსანი იყო. ორმოც წელზე მეტია იგი ახალგაზრდობას ზრდის, თავის ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემს.

მისი ენთუზიაზმი და ენერგია გადამდები აღმოჩნდა. თავის კოლეგებთან გ. სარიასთან და გ. ბაქრაძესთან ერთად, სკოლის დირექციის დიდი მხარდაჭერით, სტვილიამ შეძლო მოეგვარებინა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად მოსწავლეთა მომზადების საქმე. შაბათ-კვირას 36-ე სკოლის მოსწავლეებს ნახავთ სტადიონებისა და პარკების ბილიკებზე, ქალაქგარეთ, „ლოკომოტივის" აუზზე, ოქტომბრის სახელობის რაიონის ტირში. თბილისის შემოგარენში ჩატარდა რამდენიმე მარშგარბენი, რომლებშიც სკოლის 400-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ბავშვებს მაგალითს აძლევდა თვით მასწავლებელი. შემთხვევითი როდია, რომ მისი მოსწავლეებიდან რამდენიმემ რესპუბლიკაში პირველმა დაამთავრა ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. ამ დღეებში მათ დამსახურებული ჯილდოებიც მიიღეს.

... საქტო დარბაზში ნემსი არ ჩავარდება, ბავშვებში ზის ის ორმოცდაშვიდი ბედნიერიც, რომლებსაც მშდ კომპლექსის ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნები უნდა გადაეცეთ. ასობით თავიანთი თანატოლისგან ისინი მხოლოდ იმით გამოირჩევიან, რომ პირველნი არიან იმ კოსმონავტებივით, რომელთა სურათებიც საქტო დარბაზის კედლებს ამშვენებს. შეიძლება ამ ბავშვებიდან რომელიმეს სწორედ ეს ნორმატივები გამოადგეს კოსმოსის სიღრმეების დასაპყრობად. ჯერჯერობით კი ისინი დარცხვენილნი, გაუბედავად იდიან სცენაზე, სადაც პრეზიდიუმში სხედან სახელგანთქმული სპორტსმენები — სპორტის დამსახურებული ოსტატები, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები მ. ჯუღელი და რ. შავლაყაძე, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი ტანმოვარჯიშე გოგონათა შორის ნ. დრონოვა.

მოსწავლეებთან მოსალოცად მოვიდნენ კომკავშირისა და ფიზკულტურის მუშაკები — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპორტისა და მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის განყოფილების გამგე რ. პოპოვა, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. შარტავა, რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ბ. მეგრელიძე, რაიონული სპორტსკოლის დირექტორი შ. ჯაფარიძე.

ახალი კომპლექსის სამკერდე ნიშანსა და დიპლომს ოლიმპიური ჩემპიონი გადმოგცემს! ასეთი რამ მთელი სიცოცხლის მანძილზე არ დაგავიწყდება. აი, პირველი ოქროს ნიშნოსნები საქართველოს მოსწავლეთა შორის: გოჩა ქირიკაშვილი, ზურაბ ავალიშვილი, იევტა კობახიძე, ტარიელ ძაგოევი, ნუგზარ ქობულოვი, გია ფირცხალავა, დიტო ყირმელაშვილი, თამარ კაპანაძე, დათო ჰანკოტაძე, კოტე პალაშვილი. დანარჩენ ოცდაჩვიდმეტს ვერცხლის სამკერდე ნიშნები გადაეცა.

წინაა ახალი სტარტები, გამარჯვებათა ახალი სიხარული. ფიზკულტურის მასწავლებელი მოსწავლეებს ერთ მიზანს უსახავს: ყველა ახალი კომპლექსის ნიშნოსანი უნდა გახდეს.

გ. ქვათაძე.

• • •

სურათებზე: ნორჩ ფიზკულტურელს მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანს გადასცემს სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ჯუღელი; ოლიმპიური ჩემპიონი რ. შავლაყაძე და სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ლ. სტვილია მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა შორის.

ავტორის ფოტოები.

კვლავ ტალი!

ტალინი, 14 მარტი. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დასკვნით, XV ტურში მ. ტალი დაუზავდა დ. ბრონშტეინს, ლ. პოლუგაევსკი (სამივე — სსრ კავშირი) — ი. ტიმანს (ჰოლანდია). ტალმა 12 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაიკავა. პოლუგაევსკი II ადგილზეა 10,5 ქულით.

III ადგილზე თვალი უჭირავთ საბჭოთა მოჭადრაკეებს ბ. სპასკის, პ. კერესს, ი. ბალაშოვს და ბრონშტეინს. ყველაფერი დამოკიდებულია სპასკი — ა. სეიდის (აშშ), კერეს — ი. ნეის (სსრ კავშირი) და ბალაშოვ — ლ. პოპოვის (ბულგარეთი) გადადებული პარტიების დამთავრებაზე.

ჩვენი კომენტარი

დიდოსტატმა ტალმა კვლავ გაახარა ქომაგები. მან შესანიშნავ სპორტულ და შემოქმედებით წარმატებას მიაღწია.

ეს უკვე მეოთხე ტურნირია, რომელშიც ტალს პარტია არ წაუგია. სკოპლეში, საჭადრაკო ოლიმპიადაში, ტალმა 12 შეხვედრა მოიგო, 4 ყაიმით დაამთავრა, სსრ კავშირის ჩემპიონატში 9 პარტია მოიგო, 12 ზავით დაამთავრა, ვეიკ-ან-ზეეს ტურნირში 6 შეხვედრა მოიგო და 9 ყაიმით დაასრულა. ტალინში მან 9 პარტიაში გაიმარჯვა და 6 ყაიმით დაამთავრა. ფენომენალური შედეგია: 67 პარტიაში 36 მოგება, 31 ყაიმი!

ტალის თამაში შემოქმედებითი თვალსაზრისითაც მოწონებას იმსახურებს. ბ. სპასკისთან მისი მოგებული პარტია დიდი მხატვრული ტილოა. რიგელი მოჭადრაკის ხელოვნება დიდი შინაგანი ძალითაა გამსჭვალული.

ამბობენ, ეს ტალის ხელახალი აღორძინებააო. თვით ტალი კი ამბობს: „ჩემი კარგი ნეკროლოგი ჯერ არ წამიკითხავს. ასე რომ, არა მგონია, აღორძინებაზე შეიძლებოდეს ლაპარაკი. ყველაფერი გაცილებით იოლი ასახსნელია: რამდენიმე წლის წინ თავს ცუდად ვგრძნობდი და ცუდადაც ვთამაშობდი. რამდენიმე წელია თავს ნორმალურად ვგრძნობ და, ჩანს, ძნელი იყო ამის დაჯერება. ახლა კი ეს თავადაც დავიჯერე".

1969 წლის მიწურულს თბილისელმა დასტაქარმა, პროფესორმა ს. არშბამ ტალ'ს დაავადებული თირკმელი ამოჰკვეთა. მას შემდეგ დიდოსტატმა თავი კარგად იგრძნო. შარშან რიგაში მან მითხრა: „თუ ამიერიდან ცუდად ვითამაშე, იცოდეთ, ეს ავადმყოფობის ბრალი არ იქნება".

ჯანმრთელი ტალი კვლავ დიდი ძალით თამაშობს, ოღონდ ამჯერად უფრო გონივრულად, გამიზნულად, დარბაისლურად. როცა პოზიცია ფანტაზიის გამოვლინების შესაძლებლობას იძლევა, ტალი ისევ „შავ ჯიქად" იქცევა ხოლმე.

ახლა ჭადრაკის სამყარო ტალის თამაშს მეტი ინტერესით ადევნებს თვალს. ივნისში მან ლენინგრადში მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირში უნდა ითამაშოს. ამ შეჯიბრებას გულშემატკივრები მოუთმენლად მოელიან.

36 წლის ტალმა საფიქრელი გაუჩინა მსოფლიო პირველობაზე მეოცნებე მეტოქეებს, რომლებმაც იგი ნაადრევად გამოტოვეს სათვალავიდან.

თ. გიორგაძე.

• • •

სურათზე: მსოფლიოს ექსჩემპიონი მ. ტალი.

თბილისის ჩემპიონის სახელისთვის

ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში 31 ქალი და 18 ვაჟი განაგრძობს ბრძოლას დედაქალაქის უძლიერესი მოჭადრაკის სახელისთვის.

სისტემის ერთი ღირსება

ქალთა ტურნირში V ტური გათამაშდა. შეჯიბრების შვეიცარიულ სისტემას ნაკლოვანებები გააჩნია, მაგრამ ერთი ღირსება აქვს: ყოველ ტურში ლიდერები ხვდებიან ერთმანეთს.

ამ დღესაც ერთმანეთის პირისპირ დაფებს მიუსხდნენ ლიდერები: ქ. გაჩეჩილაძე — თ. კაჭარავა, ც. კობაიძე — თ. ხუგაშვილი, მ. ლოლიშვილი — მ. ჩიბურდანიძე, ს. კალანდარიშვილი — მ. მამისთვალოვა. ბრძოლაც შინაარსიანი გამოდგა. კაჭარავამ სიცილიურ დაცვაში უპირატესობა მიიღო და მე-40 სვლაზე გაიმარჯვა. ჩიბურდანიძემაც სძლია მეტოქეს. ოსტატების კობაიძისა და ხუგაშვილის პარტია მსუბუქი ფიგურების ენდშპილში გადაიდო. შავებს უფრო აქტიური პოზიცია აქვთ. გადაიდო, აგრეთვე, კალანდარიშვილ — მამისთვალოვას პარტია.

მ. წერეთელმა მოუგო ლ. თანდაშვილს, საერთაშორისო ოსტატმა ა. ჩაიკოვსკაიამ — ნ. გურიელს, ლ. ბელოზიოროვამ — ნ. ჩხაიძეს, ნ. მელაშვილმა — დ. ქობალიას, ხოლო ლ. გელიაშვილმა — ქ. მელაშვილს.

ც. კახაბრიშვილმა 25 სვლაში სძლია მ. კალანდაძეს. მ. ხანთაძემ გაიმარჯვა ნ. ჩიქობავასთან.

გადაიდო ს. ცერცვაძე — ნ. იოსელიანისა და ვ. ბაშინურიძე — ლ. ხარებაშვილის პარტიები. არ შედგა მ. ვაჩეიშვილ — ლ. კორიშინაძის პარტია.

ავადმყოფობის გამო ქ. გეგიძე ტურნირს გამოეთიშა.

თამაში რომ განახლდა...

ვაჟთა ჩემპიონატში გადადებული და გამოტოვებული პარტიები გათამაშდა.

გ. მაჭარაშვილმა სიძნელეებს თავი ვერ დააღწია. გ. ზაიჩიკმა ზუსტად გამოიყენა უპირატესობა და 57-ე სვლაზე ლიდერს პირველად ათქმევინა სიტყვა „დავნებდი". დამარცხდა თვითონ ზაიჩიკიც ზ. ბურჭულაძესთან გადადებულ პარტიაში.

ე. მიქაელიანმა სძლია ზ. აზმაიფარაშვილს, დ. გურგენიძემ — ე. კუშჩიანს, პ. შაქარიანმა — გ. ჩიგოგიძეს. ყაიმით დამთავრდა პარტიები: კუშჩიანი — ზ. სტურუა, თ. ხანთაძე — მიქაელიანი, ბურჭულაძე — ს. კიკილაშვილი, აზმაიფარაშვილი — ე. აფრიდონიძე.

გათამაშდა ნ. ჩახოიან — ნ. ალექსანდრიას I ტურში გამოტოვებული შეხვედრა. მეტოქეებმა სარბიელად სიცილიური დაცვა აირჩიეს. ჩახოიანმა ნაადრევად აამოძრავა ლაზიერის ფრთის განაპირა პაიკი, ოსტატმა ქალი ნახევრად ღია ვერტიკალს დაეპატრონა და ძლიერი მუქარა შექმნა. ხარისხის წაგების შემდეგ, 24-ე სვლაზე, ჩახოიანმა პარტია დათმო.

6 ტურის შემდეგ გ. მაჭარაშვილს 5 ქულა აქვს, ე. მიქაელიანს — 4,5, ზ. ბურჭულაძეს, მ. ჭიპაშვილს, პ. შაქარიანს — 4-4, გ. ხაილენკოს — 3,5, გ. ზაიჩიკს — 3 (1).

თ. ნინოშვილი.

• • •

სურათზე: ქალთა ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი, ოსტატობის კანდიდატი თ. კაჭარავა.

მ. ზარგარიანის ფოტო.

სასტიკი ბრძოლა შეთავსებებს!

ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა იმსჯელა ფიზკულტურულ კადრების განაწილებისა და მათი დატვირთვის მოწესრიგებაზე. აღინიშნა, რომ ზემდგომი ორგანოების დადგენილება, რომელიც ფიზკულტურული კადრების შერჩევის, განაწილებისა და დატვირთვის მოწესრიგებას ითვალისწინებს, ჯერ კიდევ სუსტად ხორციელდება. ქალაქის ზოგიერთი ფიზკულტურული ორგანიზაცია არ ასრულებს ამ დადგენილებას და უშვებს უხეშ შეცდომებს, რაც დიდ ზიანს აყენებს დედაქალაქში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განვითარებას, მაღალი კლასის სპორტსმენთა აღზრდას.

საქალაქო კომიტეტს სუსტი კავშირი აქვს განათლების რაიონულ განყოფილებებთან, რის გამოც საშუალო სკოლებში ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის გვერდის ავლით ნიშნავენ ფიზაღზრდის მასწავლებლებს. გვხვდება სპეციალისტთა რამდენიმე ორგანიზაციაში შეთავსებით მუშაობის ფაქტები. სამ ადგილას მუშაობენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შტატიანი მასწავლებელი ი. ყანჩაველი, სპორტკომბინატ „დინამოს" თანამშრომელი ნ. მუზიაშვილი... ასევე სამ ადგილზე მუშაობს მესამე კატეგორიის სპეციალისტი რ. მალახიევი: საშუალო სკოლაში — ფიზაღზრდის მასწავლებლად, „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოში და პირველი მაისის რაიონის ბავშვთა სპორტსკოლაში — მწვრთნელად. ზედმეტი დატვირთვა მას 150 საათი გამოუდის.

ასევე ორ-სამ თანამდებობაზე მუშაობენ კ. კაპანაძე, ლ. ხოროკინი, ბ. სენჩუროვი, ს. ტოროსიანი, ა. არუნოვი და სხვ.

ამ საქმეში წესრიგის დამყარების მიზნით, ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტმა დაავალა ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ერთი თვის ვადაში მიიღონ ქმედითი ზომები ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით და გატარებულ ღონისძიებათა შესახებ აცნობონ საქალაქო კომიტეტს.

ორ-სამ ადგილას მომუშავე მწვრთნელებს სასტიკი საყვედური გამოეცხადათ. ქალაქის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს აეკრძალათ სამუშაოზე იმ მწვრთნელების მიღება, რომლებსაც ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის საგზური არ ექნებათ.

განათლების საქალაქო განყოფილებას ეთხოვა საშუალო სკოლებში ფიზაღზრდის მასწავლებელთა დანიშვნა შეუთანხმოს ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტს, ხოლო ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტებს დაევალათ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე მკაცრი კონტროლი დააწესონ.

რ. ბაგრატუნი,
თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კადრების განყოფილების გამგე.

რაიონებიდან სტრიქონით

ასპინძა

გაიმართა ვაჟთა რაიონული პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. I ადგილზეა ბავშვთა სპორტსკოლის მასწავლებელი ა. ცინაძე, II — ა. ხაჩატურიანი (ასპინძის გაზის კონტორა), III კი რ. ნარიმანიძე (კულტურის სახლი). ჭაბუკთა შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. ქ. სისაური (იდუმალის რვაწლიანი სკოლა), II-III. ნ. იველაშვილი, ზ. მელიქიძე (ორივე — ასპინძის საშუალო სკოლა). ქალთა ტურნირში I ადგილი დაიკავა ნ. შალვაშვილმა (იდუმალის რვაწლიანი სკოლა), II — მ. მელიქიძემ (რაიაფთიაქი), III — თ. ბერიძემ (კულტურის სახლი).

ვ. ცინაძე,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ფეხბურთი

სეზონი-73-ის კონტურები

დასასრული

საკდესის კორესპონდენტმა შეკითხვით მიმართა სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელს ე. გორიანსკის და მსაჯთა საკავშირო კოლეგიის თავმჯდომარეს ვ. ლიპატოვს: „რას ელით სსრ კავშირის ახალი ჩემპიონატისგან, ახალი სეზონისგან?“

აი, ე. გორიანსკის პასუხი:

— ახალი სეზონი ჩვენი ნაკრებისთვის საკმაოდ უჩვეულოა. საფრანგეთისა და ირლანდიის ფეხბურთელებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების გარდა, მოგვიწევს საერთაშორისო შეხვედრები მსოფლიოს საუკეთესო კოლექტივებთან — ბრაზილიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის, ბულგარეთის, რუმინეთისა და შვეციის ნაკრებ გუნდებთან.

უკვე მარტის დამლევს სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატები ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად გაემგზავრებიან ბულგარეთში. ეს თამაშები სერიოზული შემოწმება იქნება კალენდარული მატჩების წინ.

ნაკრების მზადების გეგმაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. ძირითად მუშაობას ფეხბურთელები თავიანთ კლუბებში გასწევენ და მხოლოდ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე შეიკრიბებიან. სტაბილური კალენდარი გუნდებს საშუალებას მისცემს გეგმაზომიერად და მაღალ დონეზე ჩაატარონ სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობა. იმედი გვაქვს, რომ ეს დაღებით ზეგავლენას მოახდენს საბჭოთა ფეხბურთზე საერთოდ.

ნაკრებში სერიოზული ცვლილებები არ არის. დაცვის ხაზი იგივეა, რამდენიმე ახალი მოთამაშე დაემატა ნახევარდაცვას და თავდასხმას. აი, გუნდის შემადგენლობა, რომელიც ბულგარეთს გაემგზავრება:

მეკარეები ე. რუდაკოვი („დინამო“, კიევი), ვ. პილგუი („დინამო“, მოსკოვი); მცველები რ. ძოძუაშვილი, მ. ხურცილავა („დინამო“, თბილისი), ი. ზაგუმენიხი („ზენიტი“), ე. ლოვჩევი („სპარტაკი“), ვ. კაპლიჩნი (ცსკა), ა. ქურავლიოვი („ზარია“); ნახევარმცველები ი. ვასენინი („ზარია“), ვ. ფედოტოვი (ცსკა), ვ. მუნტიანი, ვ. კოლოტოვი, ვ. ვერემეევი („დინამო“, კიევი); თავდამსხმელები ო. ბლოხინი („დინამო“, კიევი), ვ. ონიშჩენკო („ზარია“), ა. ზინჩენკო („ზენიტი“), ვ. ნიკონოვი („ტორპედო“).

მსაჯთა საკავშირო კოლეგიის თავმჯდომარემ ვ. ლიპატოვმა განმარტება გააკეთა ახალ წესებზე:

— ფრეს გაუქმება დამატებითს ამოცანებს სახავს არბიტრთა წინაშე. პენალტების დროს მსაჯები მაქსიმალურ ყურადღებას უნდა იჩენდნენ როგორც მეკარის, ისე დამრტყმელი მოთამაშის მიმართ. თუ მაყურებლებს წესები არ ეცოდინათ, შეიძლება მსაჯის გადაწყვეტილებებში ვერ გაერკვნენ.

მაგალითად, მოთამაშეს უფლება არა აქვს ნელა დადოს ბურთი ხელებით პენალტის წერტილზე, რათა მეკარის ყურადღება მოადუნოს და შემდეგ უეცრად დაარტყას. ასევე, მას უფლება არა აქვს გამორბენის შემდეგ მოულოდნელად შეჩერდეს, გააკეთოს ცრუ დარტყმის იმიტაცია, შემდეგ კი გაგზავნოს ბურთი კარში. ასეთი დარღვევებისას პენალტი გამეორდება.

სამწუხაროდ, ფეხბურთის წესების პროპაგანდა ჩვენში ჯერჯერობით სათანადო დონეზე არ დგას და მსაჯები ამას განსაკუთრებით გრძნობენ საკუთარი გამოცდილებით. ამიტომ მზად ვართ ამ საქმეში ყოველნაირად დავეხმაროთ სტადიონების ადმინისტრაციებს და პრესის წარმომადგენლებს. ახალი სეზონისთვის გაფართოვდა უმაღლესი და I ლიგების მომსახურე მსაჯების კანდიდატთა სია, გვყავს ახალგაზრდა არბიტრები. რა თქმა უნდა, დებიუტანტებს თავდაპირველად გაუძნელდებათ, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ მათ ნდობა გამოვუცხადოთ.

მსაჯთა სემინარი წლეულს მაღალ დონეზე ჩატარდა. ამ სემინარებზე მოვიწვიეთ გამოცდილი ლექტორები, მათ შორის ფსიქოლოგებიც, აგრეთვე, ფიზიკური მომზადების სპეციალისტები.

მსაჯები დავავალდებულეთ მკაცრად მოსთხოვონ მოთამაშეებს წესების დაცვა, ყოველგვარი საშუალებით იბრძოლონ „სუფთა“ ფეხბურთისთვის.

(საკდესი).

პრემიერის მოლოდინში

თვალსა და ხელს შუა გაგვიფრინდა ძველი საფეხბურთო სეზონი. ბევრი მღელვარე წუთი გადაგვატანინა, მაგრამ მაინც უფრო მომავლის იმედით ვსულდგმულობთ.

ახლა, „გონგის“ შემდეგ, ფეხბურთი ფარდის ახდისთვის ემზადება... იმედია, მისი რეჟისურა უფრო სრულყოფილი იქნება, ახალი მოქნილი ტაქტიკური ვარიანტებით და ვაჟკაცური სულით გაგვახარებს. ქართულ ფეხბურთს ბევრი თვითნაბადი სიმდიდრე გააჩნია, ოღონდ მის ბრწყინვალებას გამომზეურება სჭირდება. როგორც ოსტატი თვალს პატიოსანს ტვიფრავს, მრავალ წახნაგს ჩამოქნის, ჩამოაგვირისტებს, ისე...

ქვეყანაზე უფეხბურთოდ მოწყენილობაა. ამ უნებურ სევდას დაცარიელებულ ტრიბუნებზე რა გააქარვებს, ვიდრე მწვანე მინდორზე ახალი სეზონის პრემიერა არ შედგება.

ცნობილი იტალიელი სპორტული მიმომხილველი სერჯო დი ბატისტა წერდა: წავიდა ის დრო, როცა ფეხბურთს ტანგოს რიტმში თამაშობდნენო. სრული სიმართლეა. ჩვენს დაძაბულ და აფორიაქებულ დროში, როცა ცხოვრების ტემპი ასე მაღალ რეგისტრში ავიდა, საფეხბურთო აზროვნებაც მის კვალს მიჰყვება. ამ მხრივ გერმანელებმა სანიმუშო მაგალითი შემოგვთავაზეს და შარშან ყველაზე მღელვარე სპექტაკლები წარმოგვიდგინეს. მიულერის, ბეკენბაუერისა და ნეცერის გუნდმა გვიჩვენა ვირტუოზული ტექნიკა, შესაშური მოქნილობა, კოსმოსური სისწრაფე. მინდვრის უშეცდომო ხედვა, რბილი პასები და ყველაფერი ეს ემორჩილება ერთ უპირველეს პრინციპს — რაციონალიზმს, სწორ ტაქტიკურ აზროვნებას. მათი სახით მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიელებს მრისხანე მეტოქე ეყოლებათ.

მაგრამ ეს ყველაფერი ქართული ფეხბურთის მიღმა სამყაროა, ვიხსენებ კი მას მარტოოდენ იმიტომ, რომ ვოცნებობ საერთაშორისო სარბიელზე ჩვენებმაც თქვან თავიანთი სიტყვა. თავს უფლებას ვაძლევ ოპტიმისტი ვიყო, ვინაიდან მჯერა მათი ნიჭისა.

გასული სეზონის ბრინჯაოს ბრწყინვალების ფონზე ისეთი მტკივნეული მოგონებები ამოტივტივდება ხოლმე, რომ ასე უბრალოდ მათი დავიწყება არ შეიძლება.

... „ტვენტესთან“ პირველი მატჩის უფერული მოგების შემდეგ ჰოლანდიელთა მწვრთნელი ჩვენს ფეხბურთს ინერტულობას სწამებდა, უწინ კი წაგვიგია და მოწინააღმდეგე ხოტბას გვასხამდა. განა ასე არ იყო თასის გათამაშების ფინალში მოსკოვის „ტორპედოსთან“? სტუმრები იმანაც გააოცა, რაღაცნაირი გულგრილობით რომ შეხვდით უეფა-ს თასის გათამაშების ჩვენთვის პირველ აკორდს (მერე რამდენს ველოდით ამ დღეს!). ასეთი უწყინარი, მშვიდი ტრიბუნები არ გვინახავსო, — გვარწმუნებდნენ სტუმრები.

მართალია, ჰოლანდია არა მარტო ბრდღვიალა ტიტებისა და დიდი მხატვრების სამშობლოა, არამედ სახელგანთქმული ფეხბურთის გრანდების—„აიაქსისა“ და „ფეიენოორდის“ ქვეყანაც. მაგრამ ჩვენებს მაინც შესწევდათ იმის ძალა, რომ „ტვენტე“ დაემარცხებინათ იმიტომ, რომ თამაშის კლასით არათუ არ ჩამოუვარდებიან მას, პირიქით, აღემატებიან კიდეც. ბოლოს და ბოლოს, უეფა-ს თასის გათამაშება ისე მაინც უნდა დაგვეტოვებინა, ჩვენი კვალი დაგვემჩნია ამ საპატიო ნადავლისთვის ბრძოლისთვის.

არც იმის დავიწყება შეგვიძლია, რა ერთი ხელის მოსმით გადაყარეს წყალში თბილისის დინამოელებმა ლამაზად მოგებული მატჩების ქულათა სოლიდური მარაგი.

გახსოვთ, ერევნის „არარატთან“, „რაზდანის“ სტადიონზე, ჩვენები პირველ წუთებში თვითდაჯერებული და შეუვალი მოგვეჩვენენ, თუმცა ეს, სამწუხაროდ, ილუზია გამოდგა. ლიდერის როლში ყოფნა მეტ სულიერ შემართებას და საფეხბურთო შთაგონებას მოითხოვდა.

ნეტავ, როგორი ოსტატის ხელი აკლიათ, რანაირი წვრთნა და ჩამოქნა სჭირდებათ! იქნებ ურთიერთის მეტი სიყვარული, გატანა მართებთ, ან კიდევ ფეხბურთისადმი, მშობლიური გუნდისადმი მეტი ერთგულება მოეთხოვებათ. ალბათ, ყველაფერი ერთად და ცალ-ცალკეც. იქნებ, ვკადნიერდები, როცა ვეხები იმ ჭრილობას, რომელიც დასტაქრის ხელს საჭიროებს.

ძნელია, ძალიან ძნელი თბილისის დინამოელი იყო. რახან ერთხელ ჩაიცვამს კაცი ამ ცისფერ, რომანტიკულ სამოსს, უნდა ატაროს კიდეც ღირსეულად იგი, როგორც სიწმინდის, სიმაღლისა და გამარჯვების სიმბოლო.

გაზაფხულდება თუ არა, სტადიონისკენ ფეხბურთის სიყვარული მეძახის. მოვძებნი ხოლმე ერთ აჩემებულ ადგილს დასავლეთ ტრიბუნაზე, მივიყუჟები ჩემთვის და მატჩის მოლოდინში გული საგულეს აღარ მეტევა. მერე მივიხედ-მოვიხედავ — იქნებ სადმე ქალი გამოჩნდეს, მხარი ამიბას! გაგიგონიათ? ირგვლივ მხოლოდ კაცები არიან. როგორც იტყვიან — ღმერთმა ამრავლოთ, ისე კი სტადიონზე ერთმმართველობა მოუპოვებიათ და განუკითხავად მეფობენ. ემანსიპაცია ამ შემთხვევაში ყოველგვარ უფლებებს კარგავს. თამაში დაიწყება და ატყდება ფეხბურთელებისადმი უსისტემო, ზოგჯერ შეურაცხმყოფელი, განუსჯელი და განუკითხავი შეძახილები. ავ სიტყვას ალბათ რამდენჯერ დაუკარგავს თამაშის ხალისი ფეხბურთელებისთვის, დაბნეულან და ბურთიც ველარ დაუმორჩილებიათ. რატომ გაუხეშდა ზოგიერთი მაყურებლის დამოკიდებულება სპორტსმენისადმი? იქნებ ეს იმის ბრალიცაა, რომ ქალები ცოტანი დადიან სტადიონზე. ვფიქრობთ, მშვენიერთა სქესის გამოჩენა ტრიბუნებზე გააკეთილშობილებდა ატმოსფეროს, მეტ ემოციურობას და სილამაზეს შესძენდა თამაშს. კარგი კი იქნებოდა ჩვენი დაკარგული უფლებები სტადიონზე აღგვედგინა. ტელევიზიის ეკრანიდან დანახულ ფეხბურთს ლაზათი და მოხდენილობა აკლდება, სურნელებას კარგავს.

ისე კი, გამოვიცვალეთ გულშემატკივრები... გახსოვთ, რა დავიდარაბა გვჭირდებოდა სტადიონზე მოსახვედრად? ერთი სული გვქონდა ტრიბუნებზე ადგილი გვეშოვნა. ზოგჯერ პირდაპირ კიბეებზე მოვიკალათებდით.

მერე როგორი მხარდაჭერა ვიცოდით! მოგების შემდეგ ჩირაღდნებს ვანთებდით და, ალბათ, ჩვენზე ბედნიერი იმ წუთებში არავინ იყო. მაშინ ელენიო ერერამ განაცხადა — საბჭოთა ნაკრებში ყველაზე მეტად ქართული ფრთები მესხი და მეტრეველი მომეწონაო. ეს საოცარი ფრთები ხომ თბილისის „დინამოს“ ამშვენებდა! ქართული ფეხბურთის ქებათაქებას სად არ გაიგონებდით. ახლა ყოველივე ამას თავისებური სევდით ვიხსენებთ.

სულ ახლახან თბილისის დინამოელები ზღვისპირეთიდან დაბრუნდნენ, მანამდე კი ვნახე როგორი გულმოდგინებით ვარჯიშობდნენ და იმედი მომეცა: ამ ჩვეულებრივ ყოფით ატმოსფეროში, რიგითი რეპეტიციის დროს, ბიჭებს, მიუხედავად იმისა, რომ მრავალფეროვანი ვარჯიშისა და წვრთნის რთული დატვირთვა გადაიტანეს, მოთენთილობა და დაღლილობა არ ეტყობოდათ: ახალგაზრდული სიჯიუტით ურტყამდნენ კარში, ეცემოდნენ, კვლავ ურტყამდნენ. მოხდენილი დრიბლინგი, დახვეწილი ფინტი, ზამბარასავით დახვეული კუთხური ჩაწოდება, ბურთის ჟონგლიორივით ფლობა... თითქოს, ყველაფერი ისეა როგორც ნამდვილ თამაშში, მაგრამ მას თავისებური ზეაწეული განწყობილება აკლია. მატჩის დროს ხმაურიანი ტრიბუნები, მარშის ნაცნობი ჰანგები, განათება, საზეიმო სამოსელი, ერთი სიტყვით, მთელი ეს ფერადოვანი აღლუმი რაღაც გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე და ყველაფერს ამას აღიქვამ როგორც ლამაზ სანახაობას. ამ დროს გავიწყდება, რომ ამ ემოციური წარმოდგენის მთავარ მოქმედ გმირებს უმძიმესი სამუშაოს შესრულება უხდებათ. რა დიდ ენერგიას, სულიერ და ფიზიკურ დაძაბულობას მოითხოვს მათგან ფეხბურთი. ძნელი საქმეა თვეობით იყო საკუთარ ოჯახს, მახლობლებს მოცილებული. მონატრული. მონაცვლეობა ქალაქების, ტემპერატურის, აუდიტორიისა და სხვა განა ადვილი საქმეა?! მაგრამ ფეხბურთი ხომ ვაჟკაცთა და ძლიერთა ასპარეზია...

ახლა დაცარიელებულ სტადიონზე სიჩუმე სუფევს. ასე იცის დიდი ქარიშხლის მოლოდინში. პრემიერამდე რაღა დარჩა... უნებურად ვფიქრობ — თბილისის „დინამო“, რომელსაც ასეთი ვარსკვლავები ჰყავს, რად არ უნდა ბრწყინავდეს ფეხბურთის ცის კაბადონზე, როგორც მას ეკადრება. ჭეშმარიტად უნდა ამობრწყინდეს ისე, რომ დედამიწის ყველა წერტილიდან ჩანდეს.

ნეტარ არიან მორწმუნენი!..

ნანა ჯაფარიძე.

ვაითუ ასე მოხდეს!

„რაღაც უშნოდ გაიწელა წლევანდელი ზამთარი. თოვლი მთებზე კი არა, ქალაქის ახლომახლო გორაკებზეც ბლომად იდო. იგვიანებდა გაზაფხული, ბუნების ხელახალი გამოღვიძების ჟამი. უეცრად მზემ დააცხუნა, თოვლი გადნა და შორეული სამხრეთიდან დაბრუნებულმა მერცხლებმა წელიწადის ახალი დროის დადგომა გვახარეს. გაზაფხული უპირველეს ყოვლისა ფეხბურთის გახსნის სეზონს გვიახლოებს. ემზადებიან გუნდები, სტადიონის მესვეურები, რასაკვირველია, გულშემატკივრები. აბა რა ჯობს, სტადიონზე რომ ხარ და შენი საყვარელი გუნდის თამაშის ცქერით ტკბები...

და აი, დადგა ახალ საფეხბურთო ასპარეზობათა ჟამი. ჩვენები წინა გათამაშების ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ხვდებიან. გასული სეზონის ორმა მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. რა იქნება დღეს? თამაში დაიწყო. მეტოქეებმა ენერგიულად შეუტიეს ერთმანეთს. შეხვედრა თავიდანვე საინტერესო გამოდგა. არადა, რა საოცარი სისწრაფით დაჰქრის ბურთი ერთი პარტნიორიდან მეორემდე. უჰ, რა დარტყმა მოიგერია ჩვენმა მეკარემ! რა კარგად თამაშობენ ჩვენები, რა მშვენივრად სჯის არბიტრი!

არა, მეტოქესაც ვერ დაუწუნებ თამაშის კლასს, ტექნიკას. მინდორზეც რა თავდაჭერით იქცევიან!

რვა გოლი გავიდა ორივე მხარეს. 4:4 — ასეთია ანგარიში.

მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ მაყურებლები ადგილებიდან კი წამოიშალნენ, მაგრამ ტრიბუნები როდი მიატოვეს, ფეხზე მდგარნი მქუხარე ტაშით მიაცილებდნენ მეტოქეებს. მართლაც, კარგი ასპარეზობის მოწმეც გავხდით“.

ეს სტრიქონები შარშანდელი სეზონის ერთ-ერთი კალენდარული შეხვედრისადმი მიძღვნილ საგაზეთო წერილში ამოვიკითხეთ.

წლეულს გაზაფხულმა ადრიანად შემოაბიჯა. შავი ზღვის სანაპიროსკენ დაიძრა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა მთელი არმია. ამ სეზონში ჩვენს გუნდებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ: თუ მატჩი ფრედ დამთავრდა, პენალტების სერიამ უნდა გადაწყვიტოს თამაშის ბედი. ამ სიახლეს ზოგი ცალი, ზოგი კი ორივე თვალის მოჭუტვით შეხვდა, ზოგი გაკვირვებისგან თავს იქნევდა, ბევრს მოულოდნელობისგან ენაც კი წაერთვა. მაგრამ კანონი კანონია და იგი „უსიტყვოდ“ იქნა მიღებული.

წლევანდელი სეზონისთვის უმაღლესი ლიგის გუნდები დროულად შეუდგნენ მზადებას. კარგი ტექნიკის მფლობელი ფეხბურთელები კიდევ უფრო ხვეწდნენ ოსტატობას, ითვისებდნენ ახალ ტაქტიკურ ვარიანტებს. ძალისმიერი თამაშის მოტრფიალე გუნდებმა წვრთნის დიდი ნაწილი დარბაზში ვარჯიშს დაუთმეს. ისინი უფრო მეტად კრივის ილეთებსა და სიმძიმეების აწევას ეტანებოდნენ. ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელმა ძიუდოს სპეციალისტიც კი მოიწვია და ფეხბურთელები სპორტის ამ სახეობასაც აზიარა. კვირაში რამდენიმე დღე ასკილომეტრიან (!) კროსს ეთმობოდა. როცა ფეხბურთელები ზომაზე მეტად მომაგრდნენ, მოჭარბებული ფიზიკური ძალისგან კუნთები დაებერათ, მწვრთნელმა ისინი მინდორზე 11-მეტრიანების ზუსტად დარტყმის შესასწავლად გაიყვანა და მეცადინეობის შემდეგ უთხრა:

— თქვენი ფიზიკური მომზადება იმის მანიშნებელია, რომ ტექნიკურად მოთამაშე მეტოქე ვერაფერს დაგაკლებთ. არც თქვენ უნდა ითამაშოთ და არც მეტოქეს უნდა მისცეთ ამის საშუალება. ფრე ჯიბეში იგულეთ, მერე, პენალტების ჯერი რომ დადგება, რა იცი, შეიძლება, ღმერთმა ჩვენ გადმოგვხედოს.

ფეხბურთელები ყოველდღე ასობით პენალტს ურტყამდნენ. ასე გაგრძელდა ერთ კვირას, მეორე კვირას და შემდეგაც...

სეზონის გახსნის პირველი მატჩის დღეს ჩვენი ქალაქის სტადიონზე უამრავი მაყურებელი შეიკრიბა. მასპინძლების წინააღმდეგ სწორედ ის გუნდი თამაშობდა, წერილის დასაწყისში რომ გვქონდა ლაპარაკი. ფეხბურთელები თავს არ ზოგავდნენ, რომ სპორტის ამ სახეობის თაყვანისმცემლებისთვის სიამოვნება მიენიჭებინათ. ორივე კართან ხშირად იქმნებოდა უაღრესად საინტერესო მომენტები, გეგონა აი, ბურთი საცაა შეარხევს ბადესო, მაგრამ ორივე გუნდის მეკარეები საოცრად კარგად თამაშობდნენ. ტრიბუნებზე უჩვეულო ქრიამული იდგა, მაყურებლები მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ ყოველ საინტერესო კომბინაციას, ფინტის შემსრულებელ ფეხბურთელებს.

თამაშის დრო ამოიწურა, ელექტროტაბლოზე კი ანგარიში იყო 0:0. დაიწყო 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმების სერია. კვლავ ფრე: ორივე გუნდმა ხუთ-ხუთი პენალტი გაიტანა. მერე პირველი გატანილი პენალტის წესმაც ვერ უშველა საქმეს—არც ერთი მხარე არ აპირებდა ბურთის გაფუჭებას. მატჩის მთავარი არბიტრი ასლა კი შეცბა. როგორ მოქცეულიყო? ბინდი ჩამოწვა, თორემ კიდევ დანიშნავდა პენალტებს...

— კი მაგრამ, რამდენი პენალტი უნდა დაარტყან? — ჰკითხა მთავარ არბიტრს გვერდითმა მსაჯმა.

— სანამ გამარჯვების ბედი არ გადაწყდება.

მეორე დღეს მატჩი განახლდა. განახლდაო, ვამბობთ, თორემ მეტოქეები კვლავ პენალტების სერიას შეუდგნენ. ახლაც იგივე განმეორდა. შემდეგ კოკისპირული წვიმა წამოვიდა, მაგრამ ტრიბუნებზე კაცი არ დასველებულა. ვის დაასველებდა შხაპუნა წვიმა, როცა სტადიონზე კაცის ჭაჭანება არ იყო.

როცა ამინდი კიდევ უფრო გაფუჭდა, გადაწყდა შეჯიბრება დახურულ დარბაზში გადაეტანათ. ვერა და ვერ მოხერხდა გამარჯვებულის დასახელება. თითქოს პირი შეკრესო, ყველა შეუცდომლად ურტყამდა თერთმეტმეტრიანს. მოთმინების ფიალა რომ აევსო, მსაჯმა დეპეშა აფრინა ცენტრში. იქიდან პასუხის მიღებამდე კარგა დიდი დრო გავიდა. სიქაგამოცლილ ფეხბურთელებს უკვე პენალტების დარტყმის კი არა, ფეხზე დგომის თავი აღარ ჰქონდათ.

უცებ სტუმრების მეკარემ არაადამიანურად დაიღრიალა, შემდეგ გადაიხარხარა და დარბაზიდან გავარდა. სულ მალე ასევე მოიქცა ჩვენი მეკარეც.

ცენტრიდან კი პასუხი იგვიანებდა.

P.S. მეორე დილით წინადღით ჩატარებული მატჩების შედეგები წავიკითხე პრესაში. გაოცებისგან პირი დავაღე: ტექნიკური თამაშის მოყვარულ გუნდებს ბეტონსდაუფლებულ კოლექტივებთან ჰქონიათ შეხვედრები. ათივე მატჩის ძირითადი დრო 0:0 დამთავრებულა. თერთმეტმეტრიანების სერიას გამარჯვებულებად შებეტონებები დაუსახელებია.

მხოლოდ არ იყო ცნობა თუ რომელი გუნდის მეკარემ ვერ გაუძლო ასეთ ნერვულ დაძაბულობას და ჭკუაზე შეცდა.

ზ. ჯაფარიძე.

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

13 მარტს

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და თბილისის დინამოელები. ამ გუნდების პირველი წრის მატჩი მოსკოველებმა 4 ქულით მოიგეს — 76:72. მეორე წრეში წარმატებას თბილისელმა კალათბურთელებმა მიაღწიეს — 81:72. გადამწყვეტი შეხვედრა უაღრესად მძაფრი გამოდგა. მინიმალური სხვაობით წარმატება მოსკოველებს ხვდათ — 60:59 (29:30).

კიევის არმიელებმა ვოროშილოვგრადის „ავტომობილისტს“ უმასპინძლეს და გაიმარჯვეს — 74:66 (40:29). არმიელებმა სატურნირო ცხრილში „კალევზე“ წინ გადაინაცვლეს, ვინაიდან ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბალანსი აქვთ.

სსრ კავშირის ჩემპიონი ცსკა სტუმრად თამაშობდა ტარტუს „კალევთან“. ამ გუნდების მეორე წრის მატჩი მოსკოვში არმიელებმა დიდი გაჭირვებით, 1 ქულით მოიგეს. ჩემპიონის უპირატესობა ამჯერად უფრო აშკარა იყო — 87:66 (48:38).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 მარტისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	20	18	2	1751—1444	18
„ჟალგირ.“	19	14	5	1443—1359	14
„სპარტ.“	18	14	4	1419—1313	14
„დინამო“ (მოსკოვი)	20	12	8	1469—1446	12
„დინამო“ (თბილისი)	20	11	9	1471—1473	11
„სტროიტ.“	19	8	11	1361—1397	8
ასკ	20	6	14	1313—1409	6
„კალევი“	20	6	14	1366—1449	6
რტი	20	5	15	1419—1560	5
„ავტომ.“	18	3	15	1249—1411	3

„ა“ კლ. I ჯგუფი ეკვატორი გავლილია

ტურნირის პირველი ნახევარი (პირველი და მეორე წრეების მატჩები) ბრწყინვალედ ჩაატარეს რიგის არმიელებმა. ისინი დამაჯერებლად ლიდერობენ მარათონულ ბრძოლას იმ ორად ორი საგზურისთვის, რომლებიც I ჯგუფის 14 კოლექტივში რჩეულთ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას მისცემენ. რიგელები უახლოეს მეტოქეს 3 ქულით უსწრებენ. ობიექტურად ეს პატარა სხვაობა არაა, მაგრამ, თუ გავიხსენებთ იმ „ფორას“, რომელიც ლიდერს სეზონის დასაწყისში ჰქონდა, ცხადი გახდება, რომ არმიელებმა პოზიციები დათმეს.

- მაგალითისთვის შორს წასვლა არცაა საჭირო. თებერვლის დამლევს რიგის ასკ-მ ოთხი მატჩი ჩაატარა და სამი წააგო. ლიდერი დაამარცხა ჯერ ვილნიუსის „სტატიბამ“ (77:75 და 81:78), მერე კი ალმა-ათის „ლოკომოტივმა“ (68:61). სხვათა შორის, ასკ-მ ამის შემდეგაც დათმო ერთი შეხვედრა სვერდლოვსკში (69:73), მაგრამ ეს უკვე მესამე წრის მატჩი იყო. რიგის არმიელები კვლავ ლიდერობენ, ოღონდ ახლა მათ დაუახლოვდა ვილნიუსის „სტატიბა“.

ვილნიუსელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს პირველი და მეორე წრეების ფინიშზე და ექვს მატჩში მხოლოდ ქულა დაკარგეს (ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან — 58:60).

თებერვლის ბოლო რიცხვების კალენდარი უსიამოვნო გამოდგა ლატვიის მეორე გუნდისთვის — ვეფ-ისთვის. საქმე ისაა, რომ ვეფ-ი ერთ ხანს უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი საგზურის რეალური პრეტენდენტი იყო, მაგრამ ბოლო მატჩებში წარუმატებლობამ იგი ერთბაშად V ადგილზე გადაისროლა. ვეფ-მა ქულა ვერ აიღო ერევანში (75:80 და 92:95). უფრო მეტიც, იგი ბაქოშიც დამარცხდა (94:96) აუტსაიდერთან, რომელსაც მანამდე მხოლოდ 3 ქულა ჰქონდა.

ვის აქვს ლიდერთან გატოლების ყველაზე დიდი შანსი? „სტატიბა“ უკვე ვახსენეთ. ასეთსავე შანსებს ინარჩუნებენ ნიკოლაევის სპარტაკელები. მათ უკეთესი მდგომარეობაც კი ჰქონდათ, მაგრამ მოულოდნელად ორი მატჩი წააგეს ტაგანროგში, თანაც, დიდი სხვაობით — 78:100 და 56:76. განსაკუთრებით დასანანი მარცხი იწვნიეს მათ კრასნოდარში (76:77), მაგრამ მეორე დღეს რევანში აიღეს (85:78), მერე კი ზედიზედ ოთხი გამარჯვება იზეიმეს: ორი შინ — აზერბაიჯანის დედაქალაქელებთან და ორიც სტუმრად — ლენინგრადში (75:74, 80:78).

ახლა ორიოდე სიტყვა აუტსაიდერებზე, რომლებსაც I ჯგუფის დატოვება ემუქრებათ. ბაქოს გუნდი, როგორც ჩანს, განწირულია, თუმცა 26 დარჩენილ მატჩში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. თბილისის „ბურევესტნიკის“ მდგომარეობა ჩვენმა მკითხველებმა იციან. პირველი ორი წრის შემდეგ გუნდს 8 ქულა ჰქონდა და სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე იყო (ახლა თბილისელებს 10 ქულა აქვთ, მაგრამ მესამე და მეოთხე წრეებში აღებული 2 ქულის შემდეგ).

ტურნირის პირველი ნახევარი 9 ქულით დაამთავრა ტაგანროგის „ტრუდმა“, ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივს 10 ქულა აქვს, ლენინგრადის არმიელებს კი 11. როგორც ჩანს, ამ კოლექტივებს შორის გაჩაღდება ძირითადი ბრძოლა პირველ ჯგუფში დასარჩენად.

ახლა კი გთავაზობთ იმ შეხვედრათა შედეგებს, რომლებითაც ტურნირის პირველი ნახევარი დასრულდა: „პოლიტექნიკი“ (კიშინიოვი) — „ტრუდი“ (კრასნოდარი) 77:66, 71:74, „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) — „ავანგარდი“ (დონეცკი) 56:52, 73:67, „ავანგარდი“ — „პოლიტექნიკი“ 65:62, 70:66, „ტრუდი“ (ტაგანროგი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 69:84, 70:76, „ტრუდი“ (კრასნოდარი) — ასკ (ლენინგრადი) 94:86, 90:91, „ტრუდი“ (ტაგანროგი) — „ავანგარდი“ 59:76, 84:54.

სატურნირო ცხრილი პირველი და მეორე წრეების შემდეგ:

	თ.	მ.	წ.	ქ.
ასკ (რიგა)	26	20	6	20
„სტატიბა“	26	17	9	17
„სპარტაკი“	26	17	9	17
„ლოკომოტივი“	26	15	11	15
ვეფ	26	15	11	15
„ტრუდი“ (კრას.)	26	14	12	14
„ავანგარდი“	26	14	12	14
„პოლიტექნიკი“	26	14	12	14
„ურალმაში“	26	13	13	13
ასკ (ლენინგრადი)	26	11	15	11
ფიზ. ინსტ. (ერევ.)	26	10	16	10
„ტრუდი“ (ტაგანროგი)	26	9	17	9
„ბურევესტნიკი“ (თბ.)	26	8	18	8
აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო)	26	4	22	4

2 მარტს პირველობის მეორე ნახევარი დაიწყო. თბილისის „ბურევესტნიკმა“ უკვე 2 ქულა აიღო „სტატიბასთან“ გამარჯვებისთვის. მორიგ მატჩს ჩვენები 16-17 მარტს ჩაატარებენ რიგაში. ისინი გათამაშების ლიდერს შეხვდებიან.

„ლელოს“ მიმომხილველი.

ფინალისტები ცნობილი არიან

გორში დამთავრდა საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. ფინალის 6 საგზურისთვის 46 მოჭადრაკე იბრძოდა.

შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით (9 ტური) ჩატარდა. I ადგილი დაიკავა მ. ძნელაძემ (თბილისი) — 7,5 ქულა, II-III ადგილები გაიყვეს რ. დადიანმა (სოხუმი), ნ. შოგირაძემ (ზუგდიდი) — 7-7, IV-VI — ი. მანაშეროვმა (სურამი), მ. არჩვაძემ (სამტრედია) და ვ. კურიპკომ (გარდაბანი).

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის უფროსმა მწვრთნელმა ჭადრაკში, ოსტატობის კანდიდატმა გ. მაჭავარიანმა თქვა:

— ტურნირი ახალგაზრდული იყო, თუმცა გამოცდილი მოჭადრაკეებიც მონაწილეობდნენ. რესპუბლიკის ჩემპიონატის ფინალში პირველად ითამაშებენ ოსტატობის კანდიდატები დადიანი, შოგირაძე და მეორეთანრიგოსანი კურიპკო.

კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა, ცხაკაიელებმა ლიფონავამ და ტოგონიძემ, ლაგოდეხელმა ლვინიაშვილმა, თუმცა ისინი ფინალში ვერ გავიდნენ.

ტურნირმა გვიჩვენა, რომ მეტი მუშაობაა საჭირო რაიონებში მცხოვრებ მოჭადრაკეებთან. ამ მხრივ კარგ საქმეს აკეთებს უმაღლესი სპორტული ოსტატობის მე-3 რესპუბლიკური სკოლა, რომელმაც გორში, ფოთში, ცხაკაიაში, ქუთაისში და სხვაგანაც ჯგუფები გახსნა. ამ სკოლის რამდენიმე აღსაზრდელი ფინალისტებს შორის მოხვდა.

შინ ჯილდოებით

ოსტენდე, 12 მარტი. ბელგიის ამ საკურორტო ქალაქში დამთავრდა ევროპის ჭაბუკთა და იუნიორთა ჩემპიონატები. ჭაბუკთა პირველობის ფინალში ოთხი საბჭოთა ძიუდოისტი მონაწილეობდა. ერთმა მათგანმა — მოსკოველმა მ. ილინიჩმა (ქვესაშუალო წონა) ოქროს მედალი მოიხვეჭა, ხოლო ელცელ ე. ბაბანოვს (მსუბუქი), ვოლგოგრადელ ა. იაკოვლევს (ქვემძიმე) და ელექტროსტალელ (მოსკოვის ოლქი) ა. იზოტოვს (მძიმე) ვერცხლის ჯილდოები ხვდათ.

საბჭოთა ძიუდოისტებმა კიდევ უფრო დიდ წარმატებას იუნიორთა ჩემპიონატში მიაღწიეს: სამი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ჩელიაბინსკელი ა. სემიონოვი (მსუბუქი. ფინალში დაამარცხა ფრანგი ვერეტი), მოსკოველი ა. ვოლოსოვი (საშუალო. ინგლისელ დონალდს აჯობა) და ჩელიაბინსკელი ვ. ბეტანოვი (ქვემძიმე. გდრ-ის წარმომადგენელ შულცს სძლია).

ვერცხლი მოიგო მაიკოპელმა ა. სპიროვმა (ქვესაშუალო), ხოლო ბრინჯაო მოიპოვეს მოსკოველმა მ. გრიფმა და კრასნოიარსკელმა ო. ვაკულენკომ (ორივე — მძიმე).

ახალი [illegible]-73

ნონას პირველი ყაიმი
ნიკოლაუ ისევ ლიდერობს

● ოლოტი, 13 მარტი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის II ტურში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი ფილიპინელ საერთაშორისო ოსტატ ე. ტორესს შეხვდა. ხანგრძლივი ბრძოლა ყაიმით დამთავრდა. ქართველი მოჭადრაკის მწვრთნელი, რიგელი დიდოსტატი ა. გიპსლისი დაუზავდა იუგოსლაველ საერთაშორისო ოსტატ ე. ბუკიჩს.

● ბელგრადი, 13 მარტი. რუმინელი საერთაშორისო ოსტატი ა. ნიკოლაუ ისევ ლიდერობს 8 მარტისადმი მიძღვნილ ქალთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში. 7 ტურის შემდეგ მას 6 ქულა დაუგროვდა. საბჭოთა მოჭადრაკეებიდან უკეთესი სატურნირო მდგომარეობა აქვს საერთაშორისო ოსტატ ვ. კოზლოვსკაიას — 3 ქულა და 2 გადადებული პარტია.

— ჭადრაკი —

[illegible] ... 19.45

◆ ბუქარესტი, 14 მარტი. რუმინეთის ღია ჩემპიონატში საბჭოთა მოჭადრაკე ტაიმანოვი და ერთ-ერთი მასპინძელი გიზდავუ დაწინაურდნენ — 6 ტურის შემდეგ მათ 4-4 ქულა აქვთ. VI ტურში ტაიმანოვი პარტოშს (რუმინეთი) დაუზავდა, ხოლო გიზდავუ — ჰონფის (უნგრეთი). ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან პარტოში და მისი თანამემამულე გეორგიუ.

◆ ბელგრადი, 14 მარტი. 8 მარტისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში გამოტოვებული და გადადებული პარტიების დამთავრების შედეგად სატურნირო ცხრილის მეორე სტრიქონი დაიჭირა კოზლოვსკაიამ (სსრ კავშირი): მან მოუგო გეორგიევას (ბულგარეთი), დაუზავდა მილივოევიჩს (იუგოსლავია) და 4,5 ქულა დააგროვა 7-დან. წინ კი კვლავ ნიკოლაუა (რუმინეთი) — 6 ქულა. მეორე საბჭოთა მონაწილეს შულს 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. 15 მარტს VIII ტურია.

მოტოციგის საუკეთესო კონსტრუქცია გამოიგონა ბავარიელმა (გფრ) ს. ჰაინსდორფმა. როგორც ხედავთ, მან თავის თოვლის ველოსიპედს უკან პროპელერიანი ძრავა დაუყენა და მისი საშუალებით სწორ ადგილზეც საკმაო სისწრაფეს ავითარებს.

კაფ — იუნაიტედ პრესის ფოტო.

● ●

ზოგიერ ზღვისპირა ქვეყანაში სერფინგს მამაცთა სპორტს უწოდებენ. მართლაც დიდი ვაჟკაცობაა ზღვის მღელვარე ტალღებს თავზე მოექცე ერთ პატარა ფიცარზე მდგარი და შენს ნება-სურვილს დაუმორჩილო მისი ქროლვა. არ დაგავიწყდეთ, ზღვის სტიქიონთან შეჭიდებულს ხელთ არც ნიჩაბი აქვს, არც სხვა რაიმე.

სერფინგში ბევრგან საკმაოდ ხალხმრავალი შეჯიბრებებიც იმართება უკვე.

სპორტის ამ ახალი სახეობის დიდი მოყვარულია ისტ-ფრიმანტლის (დიდი ბრიტანეთი) მკვიდრი, 16 წლის მარკ ტუნეკლიფი. იგი იშვიათად თუ გააცდენს ზღვის მოქცევას და სერფინგი ძალიან რაციონალურადაც გამოიყენა. როგორც ამ სურათზე ხედავთ, ტუნეკლიფმა მზისგან თავდაცვის მშვენიერი ხერხი გამონახა: ველოსიპედს საფარად გაუკეთა... სერფინგის „იარაღი“ — როცა მზიან ამინდში ზღვისკენ ველოსიპედით მიეშურება, მისი სერფინგის ფიცარი ქოლგის როლშია.

მერე კი ზღვის სტიქიონია...

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

ფეხბურთი...

სოჭში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშების პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩი: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი). შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

[illegible]

სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ჩემპიონატი.

12 მარტი.

გლაზოვი. „კალევი“ (მაარდუ) — ტექნოლოგიური ინსტიტუტი (ოდესა) 0:3, „ბურევესტნიკი“ (ხარკოვი) — „რადიოტექნიკი“ (რიგა) 0:3, „ავტომობილისტი“ (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი“ (კიევი) 3:1.

დასკვნითი ტურის წინ

მესამე ტურის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატში ლიდერობენ ცსკა და „რადიოტექნიკი“, რომელთაც 15-15 ქულა აქვთ 17-დან. III ადგილზეა ლენინგრადის „ავტომობილისტი“ — 13 ქულა.

უმაღლესი ლიგის გუნდების ჩემპიონატის დასკვნითი თამაშები 3-8 აპრილს ჩატარდება ლენინგრადსა და დონის როსტოვში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 11326